



კვირა 3 ლვინობით.

ფანი 10 კპ.



მწუხარე საქართველო — ილიას ძეგლი  
ქანდაკება ი. ნიკოლასის



№ 39

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან  
Тифлиς, Ред. № Театри да Цховреба“  
Иос. Зах. Имедашвили.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაბეჭდება.—ხელთნაწერი საქირებისამებრ შესწორდება.—რედკატორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 862.

№ 39

კვირა, 3 ღვინობისთვის

1910 წ.

3 ღვინობისთვის 1910 წ.

**სიმშვენიერე** ჩვენი ეროვნული თეატრის და სისრულე. აღორძინებას ახალი ხანა დაუდგა — თბილისში, ქუთაისში, ხონში, ქიათურაში, ბაქოში უკვე მუდმივი დამოუკიდებელი საზოგადოებანი თუ არა, წ. კ. ს-თან დამოკიდებული ჯგუფნი მინც მუშაობენ სასცენო ასპარეზზე; მოქმედებს იწყებენ თელავში სიღნაღში და სხვ. თბილისში ქარ. დრამ. საზის ვარდა, დამოუკიდებლად მოქმედებს სახალხო სახლის „წრე“, ამ დღეებში დაარსდა ოფიციალურად „ნაძალადევის“ ჯგუფი და ავღაბრის ჯგუფმაკ შუამდგომლობა აღძრა შემუშავებულ წესდების დასამტკიცებლად.

ქართული სცენა ფართოდება, მაგრამ ეს გაფართოება მხოლოდ გამრავლებით არ უნდა გამოიხატოს, არამედ თან უნდა სდევდეს სისრულე და სიმშვენიერე.

დრაო დავიწყებას მიეცეს წარმოდგენების ისე მართვა, როგორც მას ჟამსა შინა იყო: უხვირად, თან - შეზომილების დაუცველად: მსგავსი წარმოდგენები თეატრისკენ შეგნებით მიდრეკილ ხალხს გემოვნებას შეურყენის და სარგებლობის მაგიერ ზიანს მოუტანს, როგორც აუდიტორიას ისე ხელოვნებას...

სამოგნებით უნდა აღენიშნოთ, რომ ქართ. დრამატ. დასმა პირველ ოქტომბერს ნ. შიუკაშვილის „სიმანჯის“ წარმოდგენის დროს სავსებით მიახწია სრულყოფისა და სიმშვენიერის პრინციპის განხორციელებას: ორიგინალური, ჩვენის ცხოვრების გამომსახველი ახალი პიესა, მსახიობთა შეთანხმებული თამაში, რომელთაგანაც ვერ გამოარჩევდით, რომელი რომელსა სჯობდა როლის შეგნებით, მიხანსცენათა ცოდნით, მსიხოლოგიურ მომენტების განცლით და სხვა. ყველაზე სანუგეშო ისაა, რომ ამ სა-

ლამოს ახალგაზდობა იღებდა მონაწილეობას და გაიმარჯვა კიდევ თავის რეჟისორით...

არ შეგვიძლია ამავე მოთხოვნილებით არ მიეპართოთ ქუთაისის თეატრის მესვეურთა და ახალგაზდა რეჟისორთ, რომელთა ცოდნისა და ძალაში დარწმუნებულნი ვართ: ამასვე ვსთხოვთ სახალხო სახლის წრეს, ნაძალადევის და ავღაბრის ჯგუფთა და სხვათა, რომელნიც ქართულ სასცენო ხელოვნებას ემსახურებიან, რომ აღარასოდეს არ შელახონ მაყურებელთა ესთეტიური გემოვნება და ხელოვნების პრინციპი: სიმშვენიერე თვით სიმასინჯე-მსგაყრესათა გაპიროვნებაში და სისრულე — აი, რას მოვითხოვთ სცენის ყოველი მუშაკისაგან...

ვიმეორებ განახლების ხანა უკვე დაუდგა ქართულ თეატრს და ვინც ზემოთ თქმულ დედა აზრს არ დაიცავს, იგი იქნება უდიდესი შემცოლვე ავაზაკი კერძოთ ჩვენის თეატრისა და საზოგადოდ ხელოვნების წინაშე...



ქართ. დრამ. დასის მსახიობი  
ნ. დავითაშვილი

# პ ა რ ო

დილის სიო არხვს ნელო,  
 ღიადი შუე სხივებს სტუორცნს,  
 თან ფრთა-ქრელი მის პეველა  
 დაფორფატებს... ჰკონის... ჰკონის.  
 დაბლით ია ელიმბე,  
 ბუჩქის ძირში მინაბული,  
 ბულბული-კი გრძობით ბნდება  
 ეშხით მთვრალი, მოხიბლული.

ღა შორს ისმის უტუო ჰანგი,  
 ხან ტკბილი, ხან გულის მღაგი.

ნახ ფოთლებზე ტოკავს ნამი,  
 მისხა სხივი ელდათ ევა,  
 ეარდავიდა მისა ეამი  
 და... დაფორდა, ძირს დაეცა.  
 დაფორქეია მკენესარ მიწის,  
 ბაღახებზე ვაიფანტა,  
 სიმწუხრის ცრემლს, ცრემლს კაცისა  
 ზეტის ცრემლიც მიემბატ.  
 და როს იწყო ვარდმა ფშინევი,  
 მის თან მოჰყევა სოფლით გმინევი.

სქენება ვარდი... მის სურნელი,  
 შორს იბნევი, მიაქვს ქარსა,  
 თან ბუჩქს უმღერს სახარელი  
 სულთათანას, გლოვის ზარსა.  
 ყოველი მზრით: აქაც, იქაც  
 სევედა დაჰქარს და დაფორინავს,  
 ქართან ერთად გმინავს მიწაც,  
 სიხარულს კი სძინავს... სძინავს.  
 და კენესს, ობრავს მგონის ჩანგი  
 შორს, შორს ისმის მწარე ჰანგი.

## 6. ჩხიკვაძე

ანაგლოლ ტრანსის აზრი ტრანე დრამატურგებზე  
 ამის წინად ჟურნალ „Comedia“-ს ერთ-  
 ერთ თანამშრომელს უსაუბრნა საფრანგეთის გამო-  
 ჩხიდა მწერად ანატოლ ფრანსისონს საზოგადოდ თე-  
 ატრის და კერძოდ ფრანგ დრამატურგებზე.

რაც უთქვამს ანატოლ ფრანსს, შეიძლება ეყე-  
 ლაფორმა არ დაეკეთხნითო, მაგრამ, როგორც  
 გამოთქვამდა მწერლის აზრი, მაინც მოგვაყვას:

— ეყუდავდ ჭეგნათო, რომ მე თეატრი არ  
 მიყვანისო, — უთქვამს მას — სუ თუ შესაძლებელია  
 უგულბედეს ჭეო ას დარგი ხელაფრანკის, რომლი-

სითაივან მთავრეობდეს ქსილია და შექსილია,  
 ას ასწარეხა, რომელმაც ასეთი მშენებრებისა შე-  
 ქმნა, რომლის უმდალესს უსრულესს უფრას შე-  
 აქმს ადმანის განება, მისადად ეს კი უნდა ვთქვათ,  
 რომ საფრანგეთში ეს დარგი ხელაფრანკის XVII საუკე-  
 შემდეგ დადდა დაეცა და ზოგე განმანადის გარდა  
 თანამედროვე დრამატურგთა საფრანგეთის მეტად  
 დაბლა სდგას. იმ დროს, როდესაც ლატურსტურის  
 სხვა ხაწალებს მეტად განვითარეს და განდრამევეს  
 თავანთი მხანასო, ვაიფართავეს თავანთა ასწარე-  
 ზო, დრამატული ხელაფრანკის მთელი სამი საუკე-  
 ნეც, რაც ერთს და ამავე წყრტელხედ სდგას,  
 რთვანდ მხანასონს დარსებით, აგრევე განრეგნის  
 სხეულის, სტადის მხრივაც. ასედა დრამატურგთის  
 ძეგლის შედარებაც კი არ შეიძლება. სუ თუ შეიძ-  
 ლება, უკეთუ მართდა მუშტრის თვალთ განრეყო,  
 რასისი ჭრამსიხელ ქმნილებათ და დომეს-შეილის  
 გაქსანურეველ მრავალ-სიტყვიანს შუე ერთი ზა-  
 რღველი გათქვანათი?!

— რაც შეეჭვს XVII საუკე. დრამატურგებს, მათ ში-  
 რის ევლაცე უფრო და დეკლად მსტკარა სიტყვი-  
 სე კორნედას. ამ მნით იგი თეოტრატელ მ-  
 ღდა სდგას, თუცა რასისი დედი და დრამ  
 მტადხუ კაცის სულის ვითარების. კორნელის რი-  
 მხელებს მუდამ ვაშხევე. რუნხი მტსავრეთათ განბ-  
 ერ სხეს; რასისის დეკსეში კი სიტყვლდამს  
 თეთი გულე მთელი ქეეხიერების.

მთავარზე კი შემდეგი განმოსთქვა თერმე  
 ანატოლ ფრანსის:

— მთავრთა მნაშენლდამს უფრო არ ვყოფო  
 მგრამ ეს კათა—დრამატურგთის დეგემა, ჩამოქევი-  
 თათს მისგან იწყება. მას შემდეგ მთელს ერთს ს-  
 უფრეს უნდა გადასტეო — იმ საუკუნეს, რომელ-  
 შიაც კანობობითა მთელი მქევა თაფის ძეგლ რწმე-  
 ნათა შერევეს და თაფის სიფრეგლდას დაწერვეს —  
 და მხოლოდ მას შემდეგ წაყვედებით ზიკველ ს-  
 რისისთან დრამატურგთა—ბოამრმეს. ბოამრმეს შემ-  
 დგე კი იწყება სხს გადაწრეხილი რამსტომისის.  
 ზინდათ მე ჰეუტოს დრამემა კარბავრტურეთათ შე-  
 ჩეენება. თათყო დიდს საამოფრანკს გრამობდა ეს  
 კაცი, რომ თაფის თაფის ზარდადებს სწერდათ.  
 აგი მოქმედებს ელბანდა ქმნის, გრამბათის აზვი-  
 ადებს, ცრუ და ელდ ანტატესის ასხმს ერთი მე-  
 თორეზე; ყოველმევე კეთილ-განთერს სურდა აქტეის  
 და მუდამ-ჟამ შერეგნ-ეთოფს ეყენეს განბებს; გე-  
 მთეხუბან და ადმანათის. მეც სმონად ვეკითხე  
 ჩემს თაფს — ან რთვან შეიძლება ეყვდა ამ სო-

სელექციის მისმენს და უურბა-მეოქა. ეოგელის მხრით ვცდილობ ზედა ხოლმე „ერსნა“-ს ან „რუბლას“-ის წარმოდგენას. ვაქტორ ზოგო დიდებული სელექციისა ფორმის, მშენებარა მსტუგრა სიტყვის თავის ღირთულ წაწარმოებში, მხოლოდ მასი დრამები ეოგელას მას თავუქნის-მცემელის, რომელიც ეო მერნაჩათ სელი ტონია. სიწოდებს ზეგრას და არცხევის.

— თანამედროვე დრამატურგებსე ეო; ან რა გაიხრათ? განს შეიძლება თავის დრამებს აღტანებში მოთუქნის მსმენელა? ამ თითქო შეწყრამალის-მეურ შეოსსუღამ დრამებს! აეი მეტად ტლანქის და დანალ ღირსიის დრამების თსზას ამ გვრისეე მსმენელისთვის. ან ეადეე დომა-შეილის ტენდენციური ზეისეია! რსა გვანს!

— დანაშო მართლად სისთავეტორა, მგრამ იმავე დრას მეტად ურბლდა და გულ-ურბელით. მისეურ დრამატურგისთვის, რომელსაც დედა ბოლმს არ აწყის გულს, მეტად ადვილი რამ არის ბურეუს მდარეოდენ სისელექციის დსტინის ხოლმე. ისე სსზოვადით ეო; დღეს დღობით დრამატულ წაწარმოებთ რიცხეი დდითი დეე მსტუღობს, მხოლოდ ეეღანი ეო სელ-ასღა ერისს და იმაე ამავს მოგვირბორბენ ერისს და იმაეე; უეეი გამეფეულის მეოთდითა, ასღლის სდებავით და ფერებით გეაქრვებს ისეე ძეულ სსეებს. ამით შორის ეეგლავე უფრო შესაშნეეი დრამატურგა სფრანკეთში ისეე ზოდ ერეეე; ის სმდვილ ენებათს დღელას და გულას თქმთ მანაც გამბეგებეს; მათ შეეჯებათა და მათი ბრძიდის ამავს გევისტუს.

დასსრულვ ასტოდ ფრანსის არ სქამს, რომ თეტრს დდი რამ გავლენს ჰქონდეს ცხოვრებაზე.

— დრამების შექრლებით — უთქვამს მას — მუდამ სსზოვადობის ასრს, ნებით თუ უნებლიეთ, ემორჩილებიანთ. დდებული იდეები მათის წარმოშობიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოსწონი ხოლმე. ასე, რომ ზირეედ სანებში შეიძლება სრულად შეუქნეველიან ეო დარწხე. როდესაც ზარიხელები რეოდაეუციანთერ ზეისებს ტაშს უგრავეს, ისინი თავისეულებიის იღას ეო არ უხელებიან ესე ზეიშიათ. ისინი მხოლოდ ამას უგრავენ ტაშს, რამაც ისინი ადელავა და გამოიწყათ მათი სიტელი ან ტრუმელები.



მწუხარე საქართველო — ილიას ძეგლი ქსანდევანს ი. ნავადაძისას

გახსენება თეატრის შესახებ

(დასსრული. იბ. ,,თ. და ც.“ № 35—38)

ერთხელ სეზონის მიწურულში ქუთაისს ჩველით ჩვეულებრივად. იმ დროს საბანკო კრება იყო და მთელი იმერეთი ქუთაისში იყო. დღიწყთ წარბოდგენა და ზელი-ზედ თერთმეტჯერ ვითამაშეთ და წმინდა შემოსავალი დარჩა ხუთას თერთმეტი თუმანი. ჩემს ოცნებას საზღვარი აღარა ჰქონდა. მე ვფიქრობდი რომ, თუ ასე წავიდა საქმე, მერმისისათვის არტისტებს ჯამავრის გაუორკეცებ და სათეატრო სცენაც, შეიძლება, გაიბართოს მეტეი. მაგრამ ჩემს ოცნებას მალე შეეკეცა ფრთები: არტისტებმა, გარდა შიშნიაშვილისა, ერთხმად გამოიძახდეს, რომ ანტურბრიზას აღარ ვემორჩილებით და ჩვენდა თავად გვიღდა შევადგინოთ ამხანაგობაო. მიმატრობდა და წვიდენ თბილისს. მიზხვალ ის მომიღვეს, რომ ჯამავრი არ გვესლევია. მე მაშინვე მივიკერი ხაზინადართან, რომელიც ვალდებული იყო, ჯა-



მაგირი დაერიგებია ხოლმე და დავთარში ხელი მოეწერიებია არტისტებისათვის.

— ამ თვის ჯამაგირი არ მიგიცია?—დავეკითხე მე.

— როგორ არა.—მიპასუხა.

— აბა მიჩვენე დავთარ!

— დავთარი დამეკარგა.

— როგორ თუ დაგეკარგა? ახლა ხომ უფლება აქვსთ არტისტებს, თუ უნდათ დაამტკიცონ, რომ ფულს არ იღებდნენ?!

— არკი თქვენ ამოწმებდით ხოლმე ყოველთვის, რომ ვამღვდელო?

— მაშ შენ შეგიძლია დაამოწმო, რომ მიღებული აქვსთ?

— სიტყვიერათ კი, მაგრამ საბუთით ვეღარ.

მიხვდით, რა ამბავიც იყო და გაეჩუმდი, მეტი გზა აღარა მქონდა. ბევრმა დაიჯერა, რომ არტისტები ჯამაგირს არ იღებდნენ.

ერთხელ ჩემი ხაზინადარი შემოვიდა ჩემთან და გამომიტყდა: „დავთარი არ დამეკარგეთა, შე მაქვსო“. და ვაღმომცა დავთარი.

შე მაშინვე გავეკანე „დროების“ რედაქციისაკენ და ესთხოვე მესხს, რომ არტისტები შეეყარა რედაქციაში და დაეპირდაპირებია ჩემთვის. დანიშნულ დროზე ყველამ თავი მოიყარა და როდესაც მე დავვეკითხე: მართლა არ მიგილიათ ჯამაგირი მეთქი? მხოლოდ საფაროვის ქალმა და ვასო აბაშიძემ სთქვეს: ჩვენ არა დავგვლებიარაო, დანარჩენებმა კი უარი განაცხადეს. მაშინ გამოვაჩინე, მანამდი დაფარული დავთარი და გამოჩნდა, რომ არა თურ რაც ერგებოდათ, ზოგიერთს წინა თვისაც კი ჰქონდა მიღებული, მხოლოდ ალექსანდრე ყაზბეგს აკლდა თხოუმეტი მანეთი და ისიც მიტომ, რომ „კოლხიდაში“ გამომართვა სამ თუმან-ნახევარი.

ამაგებს ყოლიფერს თურმე მეორე ოთახიდან ყურს უგდებდა რედაქტორის მეულღე, ეკატერინე მელიქიჯიხიხი. გამოვარდა ვაფთორებული და მიჰმართა არტისტებს, მე არ მეგონა თუ მაგას იკადრებდითო: ახლა რაღას ეტყვიო ამ თქვენ ხელმოწეროდ დავთარს? არტისტებმა ბოდიში მოითხოვეს, მაგრამ მე კი მაინც იმ დღიდან ჩამოვმორდი ქართულ თეატრს სამუდამოდ.

ამ რამოდენიმე წლის წინეთ კი, კომიტე-

ტის თავ-შეღღმარებმ, ნიკოლოზ ქართველი-შვილმა, რომლისაც დღე პატივის ცემა მაქვს, მომწერა, რომ ერთი სეზონის განმავლობაში, რეჟისორობა მეკისრა და მეც ხათრი ვეღარ ვაუტუხე. იმ სეზონში პირველად გამოვიდნენ სცენაზე შალიკაშვილი, დავითიშვილის ქალი და სხვანი. ჩემმა რეჟისორობამ სარგებელი ვერაფერი მოუტანა რა თეატრს და არც მოსახერხებელი იყო მისი მოტანა. ბევრ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, მაგრამ პირადად მე კი დავრწმუნდი, რომ ჩვენ ქართული თეატრი არა გვაქვს, მხოლოდ სხვებისა ვუძაფავთ და იმ მიზანდასრულები ბევრი არა ჰყარა-რა.

აქ საჭიროა მიზეზების ჩამოთვლა, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვუყურებთ ამ სეზონსაც და მერე, თუ მივაწვიეთ მანამდი, ჩამოკთვლით მოუზრდებოდა.

*Handwritten signature or mark.*

### ლოცვა

(ყოლიცვისა)



უფალო, ჩვენო მეუფევი!  
წმინდა არს ჩემი რწმუნება,  
ვითა „ლოცვისა ალია“,  
მაგრამ წყვილიდი სამარე  
რწმუნებებსათანაც მწყარალია.  
ვერ იმოქმედებს იქ სენა,  
ვერც დახუჭული თვალია,  
გულის ფეთქა და სიცოცხლე  
საუკუნოდ გამქარალია.

წმიდა ჯვარი და სამარე,  
კის კიდე და მთლად დღურია  
შემოქმედის შემძლე ხელით  
კრებსამეგლით ვამბულია.  
კაცი, მხეცი, მათ ცხოვრება,  
მათი არსი და სულია  
ზეგარდმოს განგებითა  
საიდუმლოთ მოკულია.  
ვერ ვინ შესძლებს მის დარღვევას,  
ვის ღმერთმა მისცა სული,  
ვერც კაცი და ვერცა მხეცი,  
ვერც ცეცხლი აღზნებულია.

შეიწირე, შემოქმედი,  
ჩემი ლოცვა და გულია,  
სიყვარულით მხოლოდ შენი  
წმიდათ მაქვს დამარხულია.

მლ. ფილა





ახალგაზრდა მსახიობი  
ბუღუ მდივანი

დასავლეთ ევროპის ლიტერატურა

ხანა კაპიტალიზმის აღყვავებისა

(გაგრძელება. იხ. № 37)

კაპიტალიზმმა შესცვალა როგორც ადამიანთა საზოგადოებრივი, ისე სქესობრივი ურთიერთობა, როგორც ფიზიონომია საზოგადოებისა, ისე შინაარსი და ფორმა სიყვარულისა.

იმის და მიხედვით, თუ რავენად ვითარდება კაპიტალიზმი, ბურჟუაზიულ წრეებს შიამომაველობის შემცირება ემჩნევა. მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეთხუთმეულში ინგლისის, ბელგიისა და გერმანიის მცხოვრებთა რიცხვი თითქმის ოთხი პროცენტით კლებულობს. საფრანგეთში, სადაც ზემოხსენებული პროცესის სხვა მიზეზებისა გამოც რთულდებოდა, იყო წლები, როდესაც დაბადებულთა რიცხვი მიცვალებულთა რაოდენობას არ აღემატებოდა. ასე რომ ბერტილიონს ჰქონდა უფლება, დაღადეყო: „საფრანგეთს ბოლო ედება!“ თვით ზოლაც მართალი იყო, როდესაც თავის რომანის „ნაყოფიერებას“ გმირის — მატუ ფრომანის პირით ამბობდა: „...უფალო! პარიზი სიკვდილს აპირებს!“ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპის ყოველ კუთხეში ფესს იკიდებს მატუქსანასა. სამოცდაათიან წლებში ინგლისში იბადება რთული ლიტერატურა ამ საკითხის გამოსარკვევად, სდგება „მალტუზიანელების ლიგა“, რომელიც თავის მანუფესტის საშუალებით აცხადებს, „ის, ვინც აჩენს იმდენს შვილს, რაედენისაც ჯეროვანი კვება და საპატრო დღზრდა არ შეუძლია, დიდს

სოციალურ დანაშაულს ჩადის.“ ზოლას რომანში „ნაყოფიერებას“ მსხვილ კაპიტალისტს ბოშენს არა სურს ბევრ მემკვიდრეობისათვის დაახურდაოს თავისი დიდი შემდეგა. ამ მიზნით თავის ოჯახს იგი ერთი შვილის მეტეს არა სძენს. როდესაც ბოშენი იგებს, მუშა ბუნანოს ათი შვილი ყავსო, გესლოიანად ეკითხება: „თქვენ გიკვირთ, რომ საქმელი არა ვაქეთ — რა?“ მსხვილი ბურჟუაზიას არც წერილი ბურჟუაზია ჩამორჩა. ბრიეს პიესაში „Petit amie“ ტანისამოხის მალაზიის პატრონი, რომელსაც მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს, შემდეგის მოსაზრებით ხსნის ამ გარემოებას: მას და მის ცოლს არ სურდათ წახედნათ თავისი ცხოვრება, და მათი ერთადერთი ოცნება იყო, შვილისათვის ბრწყინვალე მომავალი შეექმნათ.

შთამავლობის ხელოვნურ შემცირების ამ პროცესმა, ბურჟუაზიულ წრეებში გამეფებულმა, ხელი შეუწყო ათასგვარ სქესობრივ ანომალიის წარმოშობასა და განვითარებას. ამგვარ ანომალიას წარმოადგენდა მამაკაცთა შორის სიყვარული.

ინგლისის საზოგადოებაში მალტუზიანობასთან ერთად ბერძნული სიყვარული გამეფდა, რაიც გამოაშკარავდა ინგლისელ პოეტის — კატორგით დასჯილ უალდის პროცესით: საფრანგეთში მდიდარ ბურჟუაზთა შორის ბევრია მომხრე მამაკაცთა შორის სიყვარულისა (ჰომოსექსუალიზმისა), როგორც რომანის ზოლას რომანი „პარიზი“. მოამოვებიან აგრდევ ამ სიყვარულის მქადაგებელნიც, მსჯავსად რომანის „აურადიტის“ ავტორის პ. ლუისისა.

მეორეს მხრივ, შთამომავლობის ხელოვნურ შემცირების პროცესმა შექმნა ფიზიკურ სიყვარულის უარყოფა, პლატონიზმისა და ასკეტისმის აყვავება. შევეციელ მწერლის ოლა ჰანსონის კრებულის „Sensitiva amorosa-ს“ ერთის მოთხრობის გმირნი: ქალი და კაცი არასოდეს არ დალაპარაკებოდენ ურთი ერთს; მთელი მათი სიყვარული განისაზღვრებოდა იმით, რომ ისინი ხანგრძლივ იხსდნენ ზღვის პირად და სიწმიდით მოკლენი შესტკვროდენ ერთმანეთს თვალგებში. „არავითარი ფიზიკური კავშირი — დასძენს ამას შესახებ ავტორი — იქნებოდა ისეთი დილემანი, როგორც იყო მორი არსებთა შეკავშირება. ამათი გრძნობანი და აზრნი, გადახლართულნი, ნაყოფსყოფდნენ მათ.“

შევეციელი მეორე მწერალი ჰეიდენსტაში ფიხიკურ სიყვარულს ბრქალებით აღქურვილს ფრთისანს ღრაკანს, ან ეგვიტურ ღმერთის ქატორის ხატებას უღარებს. ჰეიდენსტაში უფრო შემარწუნებელ სიმბოლოს ეძიებს: ძველ-თავან ძველს ეკლესიაში ჰკილია სურათი. ამ სურათზე დახატულია ეშმაკი, თხის თავით. ეს ეშმაკი ცეცხლის ორთითზე წამოკმულს ადამიანს ატრიალებს, ხოლო თვით ადამიანი ისეა წელში მოღუნული, რომ ხელის თითები ფეხის გულსა სწვდება. ეს ეშმაკი — სიყვარულია: მეორე მოთხრობაში ჰეიდენსტაში გამოჰყავს ახალგაზდა, რომელიც უარჰყოფს ხოლოციელ სიყვარულს, ხოლო თავის სატრფოს უსუსულო აჩრდილად, იდეალად ისახავს. ხანდახან იგი იწვევს სტუმრებს, უჩვენებს კარიელ სკამს და ეუბნება მათ: „აი, აქ ზის ჩემი კლდი, რომლისთვისაც სიბერე არ არსებობს. ჩვენს შეუღლებულზედ ბედნიერი არააა არსებობს ქვეყანაზედ. საღამოთი ღამისს შუქზე ვუკითხავ. მის სადიდებლად შეთხზულ ჩემ ლექსებს. როდესაც მე მოკვდები, იგი ყოველთვის, მშვიდი და წყნარი, სასთუმალთან დამიჯდება.“

საფრანგეთის ახალ ლიტერატურაში ხშირია ასკეტები — განდგეილები, რომელნიც ქვეყნიურ სურვილთ თავს ანებებენ და მონასტრისაკენ მიეშურებიან (გიუისმანის „გზაში“); ხშირია მამაკაცი, რომელსაც ქალის უსულო მანკენი უყვარს (ვილიე დე-ლილ ადანის „მომავალი ევა“); ხშირია სიყვარული ვარდისადმი (მოპასანის „კოლაჰმრის გაყრა“); ბერძნი „მისტორი ქორწინებაზე“, „ორსულის კონცნაზე“ და „ტენით შეუღლებაზე“ ოცნებობს (პრევი „ღეა“). ზოლას სიტყვით, ლიტერატურას და მხატვრობაში ჰბატონდება „უსუსულო ქალი, რომელიც აჩრდილივით დნება საყვარელ მამაკაცთა ხვეწნაში.“ ე. როდის რომანის „სიკვილისადმი ლტოლის“ ერთი გმირი ამბობს: „დაე, უკანასკნელი მამაკაცი და უკანასკნელი ქალი მოკვდეს ქალწულობრივ სიბერეში; დაე, ისინი მოკვდნენ, გამხრევებულნი იმ დიად აზრით, რომ ქვეყანაზე მათან ერთად მოისპობა შეგნებული სიკოცხლე.“

თანამედროვე კაბიტალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზიულ ოჯახის ქალი ძალიან ძნელად თხოვდება, ვინაიდან ერთის მხრით არ-

სებობისათვის გამწარებულ ბრძოლა ნებას არ აძლევს მამაკაცს, კლდი ითხოვოს, ხოლო მეორის მხრით მანქანამ შეამოკლა ქალის ოჯახურ შრომის სფერო და მითმნიშვნელობა წაათვა ქორწინებას, როგორც სამურწნეო დაწესებულებას. თუ გაუთხოვრობა ქალისთვის აუცილებელი შეიქმნა, ფემინისტქალებმა იგივე გაუთხოვრობა იდეალად დაისახეს. ესენი ქალებენ მამაკაცისადმი შეგნებულ შუღლსა. ახალ ლიტერატურაში ხშირია მომარა ამზონი-ქალები, როგორც მარსელ პრევის რომანის „ღეას“ გმირები: რომენ პირნიკი და ფრიდერიკა სურიე. ამ უკანასკნელი მიზნთ დაისახეს აღზარდათ მოზარდ დედათა თაობა ისე, რომ მას არ დაჰკირებოდა მამაკაცთა არც ფული და არც სიყვარული. ხშირად ფემინისტქალების მტრობა მამაკაცებისადმი რაღაც პატალოგიურ სენის ხასიათს ღებულობს. ასე, არსენიევის რომანში შეუღლება-მოპოვებულ ქალის დღეორში“ გმირი-ქალი შეფთდება, როდესაც ახალგაზდა ყმაწვილი კაცი მუხლთმოყრილი სიყვარულს ეფიცება, იმდენად შეფთდება, რომ სცემს, ხელზედ ჰკბენს. ხოლო როდესაც ახალგაზდა კაცი იატაზე ვარდება, ქალი ისე მძლავრად ადგამს გულზედ ფეხს, რომ ძელების ტრაკატუცი იძის.

(დასასრული შემდეგ)

**ებერე დაღვაძი**



**მ ლ ე ბ ი ა**

კლდის პირასა ვარ... გრზნობებსა ვმონებ. ბუნებას ვუსმენ... ჰფრენს აღმაფრენა, ლერწამი რხევით ამბორს მიგზანის, ჰიმნად მეგმევა ბულბულინის სტვენა.

\* \* \*

ველი მეკრდს მიღვლი... ნამი მიცინის; ტყე თვის წიაღში მეპატეება, ბუნჭი თავს მიკრავს... სენა ყლორტს მახვევს, ვარდი სუნს მფრქვევს და მელიღემა.

\* \* \*

ყვავილნი ნექტარს მიზიარებენ, ცის კამაროდან ცრემლს მფრქვევს მთვარე, კაცთა ფერხულში მესხუთვის სული... ვეკლახ! სიკოცხლე მწარეა... მწარე...

კიკნა-ფშაველია



შ მ ი ბ რ კ მ ლ მ ნ...

შეიბროლოენ!  
ზევით მონაბერი ჰენიოსობა, ნიქი, ტა-  
ლანტი და... ტლანქი, მოუხეშავი ძალა და  
ლონე.

ლონე და ტლანტი!  
შეიბროლოენ!

—ტყულოდ ხტუნაობ... რათ იწუხებ თავს,  
ხომ იცი ვერსად წამიხვალ! თუ გავგულისდი  
—გავკულტე, გავსრესავ... ჰო და ამიტომ  
დაწყნარდი, მოისვენე, თანაც მიფრთხილდი,  
თორემ...

ეუბნებოდა ტლანქი ლონე მოქნილსა და  
ნათლით მოსილ ჰენიოსობას, რომლისთვისაც  
მას ხელი მოეხვია და ძარღვებით დაბერილ  
მკლავებში გაათავული ჰყავდა.

ნიქი, ტლანტი თავისას მაინც არ იშლიდა!  
თითქო არც გავგონოს.

ის, მოქნილი და ჰაერსავით მსუბუქი, თან  
და-თანობით თავისუფლდებოდა და მკერდამდის  
თავი გაინთავისუფლა.

გულმოსულმა ტლანქმა ძალამ მაგრათ  
შემოუქტრა თავისი ღონიერი მკლავები ნიქსა,  
ტლანტს...

— დაგამხრევ... გიჯობს იყურო... წუ  
მეურჩები. ხომ იცი მე ხუმრობა არ მიყვარს...

ხა, ხა, ხა...

სასაცილოა!

რადგან ტლანტი წელს ზევით უკვე გან-  
თავისუფლდა.

—აა, არ ისვენებ? გინდა გამეძკე? უბედუ-  
რო, წელში გავწყვეტავ...

და ტლანქმა ძალამ წელს შემოარტყა  
ლომბერ ძლიერი მკლავები.

ტლანტი - მსუბუქად შეინძრა და ფეხე-  
ბამდის განთავისუფლდა.

ოო, რა საშინელი ხმა მოისმია...

შებლავლა ტლანქმა ძალამ და ლონემ.

— საზიზღარო, არ გამიგონე?? მოგსაობ,  
თავს გაგიკულტე...

და ფეხებში სტყა თავისი ღონიერი მკლავ-  
ები, რომ მსუბუქი ჰენიოსობა, ნიქი, ტლან-  
ტი ერთის მოქნივით გაენდგურებინა, მაგრამ...  
ხა, ხა, ხა...

სასაცილოა!

ტლანტმა ცის სივრცეში თავისუფლად  
გაინავარდა, მხოლოდ ტლანქი ძალა და ლონე  
კი საშინელის ძლიერებით ძირს დაემხრა,  
იწაში მკლავები ჩაეფლა და აუტანელი ტკი-  
ვილებს გამო საზარლად ივლანკებოდა და  
კნესობდა...

კენსობდა შემამაჩუნებელის ხმით და ვეღარ  
ბედავდა შეეხებინა ცის სივრცეში თავისუფლად  
მონავარდე ტლანტისთვის.

ხა, ხა, ხა...

მოუხეშავი ძალა და მოქნილი ტლანტი.  
შეიბროლოენ!

სასაცილოა!..

ვანო ბარველი



რუსულ დრამატიკულ დასის

მსახიობი და ანსცენოტექნიკოსი

ვ. ი. ნიკოლაინი

აქამდის თეატრი თუ მხოლოდ შექცეულ-  
თათვის აუთ ხელმისაწვდომი და მარტო გასართობად  
თივლებდა, ხლდა სვლათი გარდაქმნა ჩვენი ცხოვ-  
რების და სწავლის მწვერულზე ხლხივ მას ეტანება.

აქამდის გავდივართ ესტეტური გრძის-  
ბა, სულიერ დეტების, გინების გამოსხედი მსტ-  
ურულ ნაწარმების ხილვას სწავრობას; აუცილებელ,  
საჭიროების გარდააქვს სულიერი საზრდო; დიდი  
თუ ზეარა გრძის ამ მოთხოვნილებას. თეატრე-  
ბის წინ გულსაწყვეტად სდგას მწვერულზე დარა-  
ბი ხლხი და შეხატის ამას, ვისაც შექცება აქვს  
თეატრში შესვლას.

ხლხის გულის ტკივილი ივრძნო ვ. ი. ნიკო-  
ლაინმა, რუსულ დრამატულ დასის ანტრეპრეზანტმა  
და მსახიობმა და თეატრი გააღმთავარა; ხლხს  
კარა გულო, ათსურათს დიდი მუშისთვისაც ხელ-  
მისაწვდომი გახდა თეატრი, ხილი დარბიისათვის კი  
მართაეს უფასოდ წარმოდგენებს, ლექციებს; გარდა  
ამის, რთორე ჩვენი უფრწულმა აუთ აღნიშნული,  
მწვერული და ზარის კაცებისათვისაც გავსრძისხეს  
ცალკე წარმოდგენების მართვას. ნიკოლაინი გულ-  
წრფელად ეტეებოდა ხლხის სულიერ მოთხოვნილებ-  
ას და არ იმურებს არც შრომას, არც შექცევის.  
ხლხის საკუთადღებოდ მშრომელს დიდი ზტო-  
ვი და სიუარული აქვს და მსხურეული მოთხოვნილებ-  
ის მსროთ, რან დარსიც, უეჭველად; არის კადეც.

ქრისტიანობის თეეში ნიკოლაინი ახარებს თა-  
ვის თუთაღვის გადახლას და მასში შეგვექცის უფ-  
რო ახლი გაეცნით ივი, რთორეც ხლხის გულ-  
წრფელი მუცობანი და ხელდასხების ტარის დაუხ-  
რელი მუშაია.


განხანი

# მ თ ვ ა რ ე

(ფუტლენი ბ. გელას)

ცის სიერცემი, ცის ლაყვარში მიპკრთის, მისცურავს,  
 ნახათ მიაპობს დასავლეთით ცის კაბადონსა,  
 და ძირს ქვეყანას სხივებს აფრქვევს, ნათელით ჰპურავს,  
 აღარ იზორებს ამ სიუხვეს, შხით მონატყორცნსა...  
 სოფელსა სძინავს... დღიურ შრომით მოღლილ-მოქანცულს,  
 თავზე დაკვივის ბუციოტი, გულ-შესაზარი,  
 მშობელ მთა და ბარს სისხლით ნალაქს, ცრემლით მონამულს,  
 მიმოფრქვევს... ვით მწუხრის ყამს ეს გლოვის ზარი...  
 ყვავილით მგოსანი არ ქიკიკებს, აღარ ფრაჰაოქს),  
 ამ ნანატრს ღამეს არ შეზხარის გულ-სვედიანი...  
 შავი სატანა ძლევის აღამს დააფრიალებს,  
 ჩვენს უბედობას დაპხითხითებს სვე-ბედიანი...  
 იქ ცოცხალი საფლავით გარს უვლიან შავი აჩრდილინი,  
 სიკვდილის ძელსა აუტუდებენ ცისა წიაღზე,  
 რომ მხნე მებრძოლნი, უშიშარნი ხალხისა შევილნი  
 ზედ ჩამოკიდონ, ჩამოახრჩონ დილის სისხამზე.  
 ჩაგრულით უბანი, ჩაგრულით კერა კენესის, ქვითინებს,  
 შავი სიკვდილი თავს ევლება სულის მხუთველი...  
 ობოლი ჩანგი აღარა ვლერს, აღარ წკრიალებს,  
 სევდას და ვარამს დაუბურავს ცხოვრების ველი.  
 მიფარე-კი ნახათ ცის ლაყვარში მიპკრთის, მისცურავს,  
 ჰქვევავს, მიაპობს დასავლეთით ცის კაბადონსა,  
 და ძირს ქვეყანას სხივებს აფრქვევს, ნათელით ჰპურავს,  
 აღარ იზურებს ამ სიუხვეს, შხით მონატყორცნსა!..

ბ. პელაშვილი



# ქ ა ლ ი ლ ა ვ ა შ ი

(ერთ სურათიანი დრამატული ნაწარმოები თანამედროვე ახალგაზღობის ცხოვრებიდან)

თამარ, ახალგაზდა ქალი.

სანდრო, კმაწვილი კაცი.

ღარიბულად მორთული ოთახი საწერი მაგიდა. მაგიდაზე წიგნები, საწერ-კალამი და სარკე, ოთახის ერთ კუდელთან სდგას საწოლი ლოჯინი. კუდელზე მიკრულია სურათები. სამი სკამი და ერთი სავარცხელი. ოთახს ერთი კარი აქვს, კარის პირდაპირ კუდელში ორი ფანჯარა. თამარი უზის საწერ მაგიდას. მის წინ გადაშლილი წიგნია, რომელსაც არ კითხულობს. ნაღვლიანი სახე აქვს. ჩაფიქრებულია. ზმირად მიუყრებს შემოსავალ კარებს.—სჩანს ვიღაცას ელოდება. შემდეგ მოუთმენლობა დატყობა, ადგება და მივა კარებთან.

I

თ ა მ ა რ ი

თამარი. სად არის ამდენი ხანი? (შობრუნდება, ისეუ საწერ მაგიდას მოუყვება) ოხ, ღმერთო! ღმერთო! (კვლავ ჩაეაქრება) არა! მას არაა

ფერი შეუძლია!! მისგან არაფერი გამოვა!! (სწრაფად აიღებს რეჟულს, გაშლის და ჩახუდავს) რა მინდაო?... (ცოტა ხნის თავისთვის კითხულობს) არა, არა მრწამს... (გასწერის რეჟულს) სისულელეა! იქნება, ჩემი თვალის ახვევა უნდა? (შწარედ) ეხ, სანდრო, სანდრო! რა უყვავ ჩემს იმედებს!! (ზარი. თამარი შეერთება. ცოტა ხნის შემდეგ მოაკაკუნებენ კარზე) მიბრძანდიო! (წყაყარებიან. შემადის სანდრო. ქუდი და ფახი ხელში უკნარავს სასაუბროსა) ზო, შენა ხარ?

II

ი ა ვ ე ლ ა და სანდრო

სანდრო. გამარჯობა! (ხელს ჩამოთარმუქს. ზაღტოს გასდის. ამოადებს ცხვირსხითვის, ცაწყმუნდს ჰქისხეს, გააკეთებს თვალებზე და თამარის ასლად დაჯდება) რასა იქ?

**თამ.** (მგადას უხის და გადაშლიდა წაგნში იუურებს) რა უნდა ვქნა, შენი აზრით?

**სან.** (მუხის შემდეგ) რა იცი ახალი?

**თამ.** (წინსდებურათ. მკვასეთ) არაფერი! (მუხს)

**სან.** (ადგება, გაიფლის, ზაღტანს ჟაბიდან სხაზარისკენ ამოადებს) ვანამ დღეს რეფერტი წაიკითხა!

**თამ.** (ამავე კალთა) მერე?

**სან.** (ეცუობს, თამარის კილა წერეებს უშლის) მეტი არაფერი!

**თამ.** (მკვასეთ) რა თემაზე წაიკითხა, თუ გაიგე? (ამ უკანასკნელ სიტყვას განსრის სხს უსვამს)

**სან.** (ძღვას ატანს თავს, რომ მშვიდათ იღა-ზარკის) თანამედროვე ფილოსოფიურ პრობ-ლებებზე.

**თამ.** (წაგნს დახურავს, სარკეში ჩახედავს. აგღებულად) შენ კი რას შერბები?

**სან.** როგორ თუ რას ვშერბები?

**თამ.** (ადგება, წყა ღოჯიანსკეს. მიმავალი) ჰო, რა უნდა ქნა? შენი ამბავი რომ ეცი... (მადის ბაღაშთან, ასწებს, გამოადებს წერადს, და-უთრუდება მგადას და ჩუმიდ დუწუებს კათხვას. მუხს)

**სანდ.** დაანებე მაგას თავი!

**თამ.** (კითხულობს და ისე) ჰო, მართლა!.. უკაცროდ... უკაცროდ!..

**სანდ.** გეყოფა! კარგია!..

**თამ.** (თავისთავის) რა ადვილათ მოტყუე-ღება აღმაინა?!

**სანდ.** როგორც მაგ. შენ ჩემში, არა?

**თამ.** (ვირამ კითხულობს) თუნდა ეგრეც იყოს!

**სანდ.** მართალი ხარ! (ადგება, ზაზარისხს მისწებს)

**თამ.** (ვითამ წერადის ამოკათის) და გავ-სარდა) ხა, ხა, ხა! რა სულელია?

**სანდრ.** (მუხურდება) რა ამბავია? ვინ გწერს?

**თამ.** (ეურადღეპასარ ქვეტს) ვინ უნდა იყოს შე-ნის აზრით? წერილს წაგნში ჩადებს. სანდრ და-დის. თამარი დაჯდება და კედელს დაწვეებს ეურე-ბას. ფაქტრში წასულია, სკამის ზურგზე გადაწება. სანდრ ნელის ნაბავით დავის ჩავიქრებული. მუ-ხს) ოხ, ღმერთო ჩემო! (ამოთხრებს. თვალებს დასხუტავს. თავს უკან გადაწვეულს სკამის ზურგზე დადებს. სანდრ მთვ და სუადან დაწვეურებს თა-მარს. ის აგრძნობს სანდრის მუხრას, და თვალდა-

სუქული კათხვს) ცული ვარ, არა? (სანდრ მო-შორდება და ისე- ისე დაიწვეებს წარუფს. ზა-უსა) არ მოგწონს განა ასეთი მოწვენილობა?

**სანდ.** მე ყველგან მოწვენა შემპქეს!

**თამ.** (უნდა უკანისს) მეტი რა გეთქმის? წინეთ რომ ასეთი არ იყავ!

**სანდ.** (მსუხს არ გასტეხს. სისუქე)

**თამ.** (თვალეებს გასვლას) ოხ, ღმერთო! რა უბედური ვარ!!

**სანდ.** რითა ხარ უბედური? (მიუხსილვდება)

**თამ.** თავი დამანებე!

**სანდ.** რა გინდა, ქალი?

**თამ.** (თვალრემიდასი აწითებული შეხედავს სანდრის და ჩუმიდ, მკვრამ ძღა-დატანებით) სიყე-დლი!

**სანდ.** (დაჯდება. სმის კასკალით, გრძნობათ) თამარ, მითხარი, რათ წველობ აგრე? რათ იტანჯები? მითხარი, გამინაწილე შენი დარღე-ბი!.. მე ხომ შემძლია ვაგიგო!!

**თამ.** (გაწვეურებისს) არ შეგიძლია, არა!

**სანდ.** მაშ შე შენი მეგობარა არა ვყო-ფილვარ!

**თამ.** სამწუხაროთ არა!.. ამაზე მეტს, ვთხოვ, ნუ ვილაპარაკებთ!

**სანდ.** მშუ, მე წავალ! იქნება მარტო უფ-რო დამიშვილო გული!.. მართლაც და არც ასე შეიძლება...

**თამ.** (გაწვეურებს სანდრის, თათქო მის გულ-ში უნდა ამოკათისის დაფარული აზრი)

**სან.** თუ ამოდენა ტანჯვას ვაყენებ... თა-ნაც უბედურსა ვყოფ... წავალ!.. მოგშორდე...

**თამ.** (არა ბუქნირება) ხა, ხა, ხა! მომშორ-დები? ხა, ხა! ახლა მომშორდები? ყოჩად, სანდრო!!

**სანდ.** მაშ, მითხარი, რას ვავს შენი ყო-ფა-ქცევა?

**თამ.** (გრემიდასი, ანთუელი, წერევა-შლია-ლი კასკაქებს) მომშორდი! წადი!.. რათ ვაჩე-რებულხარ? წადი! მე არ ვაკავებ!.. როცა ვი-ყავი ცოცხალი, ტურფა... ტუუ-რფა! (სან-დრთ გაშუქებულია) მაშინ ხომ შეალერსებოდი, მაშვიდებდი? მაშინ ხომ მხეხვოდი... მკოცნი-დი?! მალმერთებდი?!.. წადი! რათ შეჩერდი?

**სანდ.** თამარ!

**თამ.** (გაგეტყუებულია) მძულხარ! მეზიზღე-ბი! ჩემს თვალში შენ არარაობა ხარ!.. არა-რაობა! ხომ გემისი?!

**სანდ.** რა დავემართა? დამშვილდი სთქვი, თუ არ გინდა ჩემთან ცხოვრება, სიყვარული! მიიხიარი და მეტი არა დაგპირდებია!

**თამ.** (ტირის) რა ექნა?... წადი, წადი! (საწერ მკვადსუ დაკურდნისთა თაჟათ, და სერუჟუ-ლად ქუთისისეს)

**სანდ.** (გოცა ხსნა არ ივის რა ქანს, მერუ შარუნსდეს ზალტოსქენ) რომ ვეცოდე, რა გე-მართებთა?!

**თამ.** (შესედაჟს, რამ ზალტოს იღეს სელაში) ჰო, წადი! წადი სადმე მხიარულ საზოგადოე-ბაში! გაერთობი!! (წამადგებს) არ გიყვარვარ? არა? ხა, ხა, ხა! რა სულერი ვარ!?

**სანდ.** მაშ, მიიხიარი, რა ექნა? რა?

**თამ.** მომშორდი, გაიქციო, ნუ, ნუ! ყურს ნუ უღებ ჩემს ტანჯვას! ნუ დაინახავ ჩემს ცრემლებს! წადი! ნუ იშლი ნერვებს (დაცინათ) ჩემო სანდრო! (ცრემლ მორუქად) ხა, ხა, ხა!

**სანდ.** არა, სჯობს წავიდე! შემდეგ, რო-ცა დამშვილდები... აგრე სჯობია! (ზალტოს იგვასს)

**თამ.** (აღვსნეული ცრემლ-მორუქადი მღერის, გულის ამღერეუ სმით)

აღარ ვიცი რა მატირებს,  
სიმძულვარე, სიყვარული?!  
რომლით მეტად იტანჯება  
საცოდავი ჩემი გული?

(მღერის და თან უსჯავ ჩამოსდის ცრემლები. სიმ-ღერით მუხსლოდეუას სანდროს, აკანკალებული სმით გაამქართეს)

რომლით მეტად იტანჯება  
საცოდავი ჩემი გული?

**სანდ.** დამშვილდი, თამარ! არა გრცხვე-ნია? ეგრე რათ იტანჯები? (უნდა ისეუ გახსადოს ზალტო)

**თამ.** (მოყარება, არ ახეუენისეს) არ გაიხა-დო! შენ წასელო გინდოდა! მაშ წადი! წადი! თუ გინდა გაკოცე! ჰა... (მოუსლოდეუას საკოც-ნელად. სანდრო ნაწად მოაშორებს თამარს) მაშ, კოცნა არ გინდა? ხა, ხა! გეზოზღება განა?

**სანდ.** (მეტად შეწუხებული ექუ დაჟება სკამზე. მოწვეუტლი სმით) რა გინდა, თამარ?. რათ მასწვლებ? რათ იტანჯები? მოდი ჩემთან...

**თამ.** (ტირალით მოუსლოდეუას სანდროს. სანად ეტუეთ, ეს უფრო უმტკეს მას ცრემლს) სანდრო! სანდრო! (დაკურდნისთა თაჟათ სანდროს მხსნე) მასწვლე... მიშველე... უბედ...

**სანდ.** (აღვსნით) რითა ხარ უბედური? სთქვი მე ხომ შემიძლია გავიგო შენა სულის კვეთება! სთქვი! აბა რით გიშველო!

**თამ.** რა გითხრა? შე თვითონ არ ვიცი?! (მადლად ტირის)

**სანდ.** ნუ ბავშვობ, კარგია! როგორ იქ-ნება?... განა მე უცხო ვარ შენთვის, რომ არ შეგაძლია გულის ნადები გამიზიარო? აგრე რამ ავაღლევა?

**თამ.** სანდრო! მე ცული ვარ!.. ცული! ვგრძნობ, რომ ჩვენ ვერ შევთვისდებიო!..

**სანდ.** მერე რა უყოთ? ეს გარემოება ღირს განა იმით, რომ ცხოვრება მოიშნაო?... შენი ქირი წამილია!

